PAY -ს სადემონსტრაციო პროექტი

ეს არის მარტივი სადემონსტრაციო პროექტი შესრულებული PHP-ზე. შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც საწყისი მაგალითი თქვენს ელ. მაღაზიაში PAY-ს ინტეგრაციისათვის.

პროექტი გეწოდებათ ჩვენი მხრიდან დამატებითი ვალდებულებების გარეშე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს შევცვალოთ როგორც მოცემული სამაგალითო პროექტი, ასევე თავად PAY-ს სისტემა.

პროექტის აწყობა


პროექტის აწყობა არ არის რთული. ამის მიუხედავად თქვენ მოგეთხოვებათ გარკვეული ცოდნა: თქვენ უნდა იცოდეთ, როგორ განათავსოთ ვებსაიტი ვებსერვერზე, როგორ შექმნათ მონაცემთა ბაზების სერვერზე (mySQL) მონაცემთა ბაზა და მონაცემთა ბაზის ცხრილი. ასევე საჭიროა PHP-ს ცოდნა, რადგან პროექტი დაწერილია სწორედ ამ ენაზე.

მეორე მხრივ მოცემული პროექტი შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც მაგალითი საკუთარი კოდის დასაწერად. ამ შემთხვევაში, ცხადია, არაფრის აწყობა არ დაგჭირდებათ.

განათავსეთ პროექტის ფაილები თქვენს ვებსერვერზე (დავუშვათ, თქვენ განათავსეთ პროექტი მისამართზე „http://www.myserver.ge/paysimulator“).

გახსენით ფაილი „include.php“. ამ ფაილში მოთავსებულია პროექტის სამართავი პარამეტრები და კონსტანტები. სულ ქვედა კონსტანტაში სახელად „BASEURL“ ჩაწერეთ მნიშვნელობა „http://www.myserver.ge/paysimulator“ (ანუ ის მისამართი, სადაც განთავსებულია პროექტი).

გავუშვათ ფაილი „index.php“ (http://www.myserver.ge/payimulator/index.php).
ბრაუზერში გამოჩნდება ასეთი ვებგვერდი:



ზედა ველებში წერია:

- „Price“ – საქონლის ფასი ლარებში;
- „Description“ – საქონლის აღწერა;
- „Custom Data“ – დამატებითი ინფორმაცია. ეს ველი შეიძლება ცარიელაც იყოს.
- „Item1“ – პირველი ელემენტის აღწერა (დასახელება, ფასი)
- „Item2“ – მეორე ელემენტის აღწერა (დასახელება, ფასი)
- „Item3“ – მესამე ელემენტის აღწერა (დასახელება, ფასი)

ქვედა ველებში წერია:

- „Success URL“ – დაბრუნების მისამართი გადახდის უშეცდომოდ დასრულებისას;
- „Cancel URL“ – დაბრუნების მისამართი მომხმარებლის მიერ გადახდის შეწყვეტისას;
- „Error URL “ – დაბრუნების მისამართი გადახდის შეცდომით დასრულებისას;
- „Callback URL“ – ასინქრონული შეტყობინების დამუშავების მისამართი;

თუ თქვენ ფაილში „include.php“ შეცვალეთ „BASEURL“-ის მნიშვნელობა, ველებში განთავსებული მისამრთების მნიშვნელობები კორექტული იქნება. თუ არა, შეგიძლიათ ახლა შეცვალოთ. გაითვალისწინეთ, რომ ასონიშანი ‘?’ მისამართის ბოლოშო აუცილებელია.

დაგვრჩა ასინქრონული შეტყობინების დამუშავებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის და ცხრილის შევქმნა.

ასინქრონული დამუშავების სქრიფტში (callback.php) მოყვანილი ალგორითმი წარმოადგენს ასინქრონული შეტყობინების დამუშავების გამარტივებული ვარიანტს. რა თქმა უნდა, რეალურ აპლიკაციაში შეიძლება ბევრად უფრო მეტის შემოწმებაც დაჭირდეს და უფრო რთული ალგორითმიც.

სქრიფტი თავისი მუშაობის შედეგს ინახავს ჟურნალში. ჟურნალი მუშაობს mySQL მონაცემთა ბაზების სერვერთან. იგულისხმება, რომ ამ სერვერში არის მონაცემთა ბაზა „test“ ცხრილით „log“. მონაცემთა ბაზის სერვერის მდებარეობა, მონაცემთა ბაზის სახელი, მომხმარებელი, პაროლი და ცხრილი განსაზღვრულია კონსტანტურ პარამეტრებში ფაილში „include.php“.

ბაზის და ცხრილის შექმნის SQL სკრიფტი მოყვანილია ქვემოთ:

```
-- Create schema test
CREATE DATABASE IF NOT EXISTS test;
USE test;

-- Definition of table `log`
DROP TABLE IF EXISTS `log`;

CREATE TABLE `log` (
  `id` int(10) unsigned NOT NULL auto_increment,
  `date` datetime NOT NULL,
  `log` text NOT NULL,
  PRIMARY KEY  (`id`)
) ENGINE=InnoDB
```

სულ ესაა. ბედნიერ მუშაობას გისურვებთ :)

ფაილები

პროექტი შედგება სულ რამდენიმე ფაილისაგან. ქვემოთ მოყვანილია თითოეულის მოკლე აღწერა:

include.php

ეს არის დამხმარე ფაილი. მასში არის დეკლარირებული სხვადასხვა კონსტანტები

index.php

ამ ფაილიდან იწყება გადახდების პროცესი. ფაილის შინაარსი ასახულია ზემოთ მოყვანილ სურათზე.

paystep.php

ამ ფაილზე გადავდივართ index.php შემდეგ. დანიშნულებაა გადახდის პროცესის გაგრძელებამდე ვნახოთ პარამეტრების მნიშვნელობა.

returnfrompay.php

დაბრუნების წერტილი. ამ ფაილზე ბრუნდება გადახდის პროცესი **PAY**-დან. ასახავს დაბრუნებულ ინფორმაციას ვებბრაუზერში

callback.php

ასინქრონული შეტყობინების დამუშავების ფაილი. ფაილი შეიცავს ფონური შეტყობინების დამუშავების პრინციპულ სქემას. ფაილმა რომ იმუშაოს, საჭიროა მონაცემთა ბაზა ერთი ცხრილით. ამ ცხრილში იწერება ფონური შეტყობინებები. ეს ჟურნალი ძალიან სასარგებლოა გამართვისათვის.

helpers\prepare.php

დამხმარე სქრიფტი. ქმნის ცხრილს ასინქრონული შეტყობინების ჟურნალისათვის

helpers\listlog.php

დამხმარე სქრიფტი. გამოყავს მონაცემთა ბაზაში განთავსებული ასინქრონული შეტყობინების ჟურნალის შიგთავსი.